არ დასაჯოთ ალლაჰის სასჯელით

'იქრიმა გადმოსცემს: რომ 'ალიმ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) დაწვა ხალხი, ეს ამბავი როცა გაიგო იბნ აბბასმა თქვა: მე რომ ვყოფილიყავ მის ნაცვლად არ დავწვავდი მათ, რადგან შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «არ დასაჯოთ ალლაჰის სასჯელით», არამედ დავხოცავდი მათ, როგორც თქვა შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): «ვინც შეიცვლის რჯულს, მოკალით».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

'ალი იბნ აბუ ტალიბმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადაწყვიტა (იჯთიჰადით) და ვინც ისლამს განუდგა და ზურგი აქცია, ის წარმართები ცეცხლით დაწვა, ამ ამბავმა აბდულლაჰ იბნ აბბასთან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) მიაღწია, და ის ამ ხალხის სიკვდილით დასჯას დაეთანხმა, მაგრამ არ მოიწონა მათი ცეცხლის სასჯელით დაწვა. და თქვა: მე რომ მის ნაცვლად ვყოფილიყავი, მათ ცეცხლით არ დავწვავდი; რადგან შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა, რომ ცეცხლით მხოლოდ ალლაჰი სჯის, არამედ მათი დახოცვა საკმარისი იქნებოდა, როგორც თქვა ეს შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): ვინც ისლამს ზურგი აქცია, რჯული შეიცვალა და სხვა რჯულზე გადავიდა, მოკალით.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/58227